ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №26

19.05.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313081-03; 10.05.2023);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313561-03; 15.05.2023);**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313560-03; 15.05.2023);**

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი

ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313664-03; 16.05.2023).**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313081-03; 10.05.2023);**

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2023 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 150,0 ათასი ლარით. სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარით, სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები - 22 764,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 26 614,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის იზრდება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 400,0 ათასი ლარით.
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 4 000,0 ათასი ლარით.
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 346,2 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით. ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შეადგენს 4090 ერთეულს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 665 278,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 605 178,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 95 678,7 ათასი ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **(12-032313081-03; 10.05.2023)** საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 1), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313081-03; 10.05.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014

წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313561-03; 15.05.2023):**

დ.ჯაიანი - მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით ამოქმედებულ იქნა M3 კატეგორიის ავტობუსის <u>ახალი **№292** მარშრუტი</u> - მ/ს "ახმეტელის თეატრი" (წინამდებარე ტერიტორია) - ილია ვეკუას ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. - აკაკი ვასაძის ქ. - ქერჩის ქ. - დავით სარაჯიშვილის ქ. - თენგიზ შეშელიძის ქ. - გიორგი მინდელის ხიდი - ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი - დავით აღმაშენებლის ხეივანი - თბილისი მოლი (მიმდებარე ტერიტორია); <u>უკუ მიმართულება:</u> თბილისი მოლი (მიმდებარე ტერიტორია) - დავით აღმაშენებლის ხეივანი (მობრუნება დავით აღმაშენებლის ხეივანი №223-ის მიმდებარედ) - მირიან მეფის ქ. (მობრუნება ფარნავაზ მეფის გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ) - ჯორჯ ბალანჩინის ქ. - გიორგი მინდელის ხიდი - თენგიზ შეშელიძის ქ. - დავით სარაჯიშვილის ქ. - დავით გურამიშვილის გამზირი (მ/ს "სარაჯიშვილი") - დავით სარაჯიშვილის ქ. - ქერჩის ქ. - აკაკი ვასაძის ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. - მ/ს "ახმეტელის თეატრი" (წინამდებარე ტერიტორია). პროექტის თანახმად აღნიშნული მარშრუტი აისახება დადგენილებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ **№317, №338, №357, №377** მარშრუტები - მათზე არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, გადაყვანილ იქნა წრიულ მოძრაობაზე.

ამასთან, გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, რის გამოც, შესაბამისი ცვლილებები შედის იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ შეცვლილ გზებზე მოძრაობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313561-03; 15.05.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313560-03; 15.05.2023):**

დ.ჯაიანი - დადგენილების აღნიშნული პროექტი უკავშირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის-განკარგულების შესაბამისად დროებით მოქმედი M2 კატეგორიის ავტობუსის №445 მარშრუტის დადგენილების შესაბამის დანართში ასახვას. აღნიშნულ მარშრუტზე გათვალისწინებული იქნა 5 (ხუთი) ერთეული მოძრავი შემადგენლობა, პიკური ინტერვალი სამუშაო დღეზე დაიგეგმა 12 წთ.

№464 მარშრუტს, რომელიც ლეოპოლდ ბილფელდის ქუჩიდან მოძრაობდა გიორგი საკაძის მოედნამდე, მოძრაობა გაუგრძელდა სადგურის მოედნამდე. ამასთან, დაემატა 2 (ორი) მოძრავი შემადგენლობა;

№№402,404,410,411,412,420,425,427,438,440,441,443,447,457,463,481,482,483,497,498,503,513,514,515,549,552,558 მარშრუტებს, მათზე დღის განმავლობაში არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, დაუკორექტირდათ მოძრაობის ინტერვალები;

№401,403,405,406,407,413,414,415,417,418,420,422,427,429,432,433,434,435,437,439,440,442443,444,448,453,455,456,459,463,464,467,470,471,473,474,475,476,479,480,493,494,495,496,499,505,506,508,509,510,511,518,520,526,527,530,535,537,542,548,558 მარშრუტები, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, გადაყვანილ იქნა წრიულ მოძრაობაზე.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ შეცვლილ გზებზე მოძრაობა.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის გათვალისწინებით მ/ს „ახმეტელის თეატრიდან“ „თბილისი მოლის“ მიმართულებით ამოქმედდა M3 კატეგორიის №292 მარშრუტი (აღნიშნული ცვლილება ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტში), რომელმაც სრულად გადაფარა M2 კატეგორიის №500 მარშრუტი, საჭირო გახდა აღნიშნული მარშრუტი ამოღებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დანართები 1,2 და 3-დან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313560-03; 15.05.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313664-03; 16.05.2023):**

ვ.აბულაძე - დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიმდინარე მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის პროცესში გამოიკვეთა, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე გარკვეული უპირატესობების მინიჭების საჭიროება „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსისთვის (M_1 კატეგორია), რომლის წლოვანება 10 ან ნაკლები წელია, რის გამოც დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლში შედის შესაბამისი ცვლილებები. ამასთან, წესს ემატება დანართის სახით სპეციალური მანიშნებელი, რომელიც იქნება იმის დამადასტურებელი, რომ სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დამატებულია „A“ კატეგორიის ნებართვაზე, უფლებამოსილია იმოძრაოს და განახორციელოს მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-

ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილ 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნულ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე, სადაც ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების წლოვანების გამოთვლის პრინციპი აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან.

მანიშნებლის გაცემა ხდება „A” კატეგორიის ნებართვის მფლობელზე, რომელსაც ნებართვაზე დამატებული აქვს 10 წლის და ქვემოთ წლოვანების სატრანსპორტო საშუალება, მხოლოდ ამ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განისაზღვრება მანიშნებლის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც გაცემას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივნისიდან, ხოლო, ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი 9-ით განსაზღვრული სპეციალური მანიშნებლების გაცემა დაიწყება ა/წ 22 მაისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032313664-03; 16.05.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე